

**ირლანდიის რესპუბლიკის ეკონომიკური ზრდის  
ცალკეული ასპექტების შესახებ**

**შესავალი**

ირლანდიის რესპუბლიკაში გასული საუკუნის ბოლო დეკადაში დაფიქსირებულმა ეკონომიკური ზრდის უჩვეულოდ მაღალმა ტემპმა როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. ხშირ შემთხვევაში ასეთი ინტერესის გამომწვევი მიზეზი სხვა განვითარებად ქვეყნებში ირლანდიური ეკონომიკური მოდელის ადაპტირებისა და ზრდის იგივე ტემპების სწრაფად მიღწევის სურვილი იყო. საჭიროა იმთავითვე განიმარტოს, რომ ირლანდიის წარმატება, როგორც ასეთი, რამდენიმე ძალზე არსებითი, უნიკალური ფაქტორის, ან მათი კომბინაციის შედეგია. ამგვარად, ირლანდიური მოდელის პირდაპირი რეპლიკაციის შესაძლებლობა დიდი სიფრთხილით უნდა განიხილებოდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ეკონომიკური ზრდის ცალკეული მაგალითების ანალიზისას უპრიანია სხვა ქვეყნების გამოცდილების განხილვაც. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ზრდის ანალოგიური ტემპები დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფიქსირდებოდა სხვადასხვა ზომის, ინსტიტუციური მოწყობისა და პოლიტიკური ორიენტაციის ქვეყნებში, მაგალითად: სამხრეთ კორეაში, ტაილანდში, ტაივანში, იაპონიაში, სინგაპურში, ბოტსვანაში, ჩინეთში და სხვა. აქიდან გამომდინარე, დასაშვებია ვივარაუდოთ, რომ ყველა ამ ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები ხშირ შემთხვევაში საერთოა, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წარმატებულმა ქვეყნებმა მოახერხეს მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების მოძიება, წარმოჩენა და ეფექტურად გამოყენება.

**მეთოდოლოგიური მიდგომა**

აუცილებელია ითქვას ისიც, თუ რა იგულისხმება ამა თუ იმ ქვეყნის, ამ შემთხვევაში ირლანდიის მაგალითის გაზიარებაში პრაქტიკული თვალსაზრისით. ამისათვის უნდა მოვახერხოთ იმ ფაქტორების გამოყოფა, რომელიც ზოგადად გადამწყვეტია ეკონომიკური განვითარების პროცესში. ასეთებია ქვეყნის ხელთ არსებული კაპიტალი, დემოგრაფიული რესურსები, ბუნებრივი სიმდიდრე, გეოგრაფიული მდებარეობა, საგარეო კონიუნქტურა ან ისეთი ინსტიტუციური და ადამიანური ფაქტორები, რომლებიც ნაკლებად იცვლება ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად. ასეთი პარამეტრები ფუნდამენტური ხასიათისაა და მათი კარდინალური გარდაქმნა შეუძლებელია დროის მოკლე ან საშუალოვადიან პერიოდში

მიმდინარე პოლიტიკური ან ეკონომიკური პროცესებით. ცხადია, ამ ფაქტორების ერთობლიობით მსოფლიოს ყველა ქვეყანა უნიკალურია.

მეორე, არსებობს წმინდა ადამიანური, ან ინსტიტუციური ფაქტორების ერთობლიობა, რომლებაც შეიძლება განსაზღვროს ამა თუ იმ ქვეყნების განვითარების ტემპები და თავისებურება. ასეთია ფისკალური ან მონეტარული პოლიტიკა, ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობა თუ შეზღუდვა, მარეგულირებელი გარემოს ხასიათი, განათლებისა და ჯანდაცვის პოლიტიკა და სხვა. ცხადია, ამ ფაქტორების ნაწილის შემოქმედებითი გააზრება და სხვა ქვეყნიდან ჩვენს ნიადაგზე გადმოტანა გარკვეული წარმატებით სავსებით შესაძლებელია. ირლანდიის მიღწევების ანალიზი შესაძლოა ამ ჩარჩო მეთოდოლოგიით განხორციელდეს და გამოვლინდეს სახელმწიფო პოლიტიკის ის თავისებურებები, რამაც ხელი შეუწყო ამ ქვეყნის დაჩქარებულ წინსვლას. ცხადია, განხილული უნდა იყოს კერძო სექტორის როლი, რადგან ეკონომიკაში გადამწყვეტი სწორედ მისი აქტივობაა და სახელმწიფო საუკეთესო შემთხვევაში დამხმარე ფუნქციას ასრულებს. შემდგომში მოვიხმობთ ირლანდიის მაღალი ეკონომიკური ზრდის პოტენციურ მიზეზებს, თუმცა ამ ეტაპზე ისინი დეტალურად არ იქნება გაანალიზებული. გარდა ამისა, ჩამოთვლილი იქნება ეკონომიკური ზრდის უარყოფითი ასპექტები და მომავალში მოსალოდნელი პრობლემებიც.

### **ირლანდიის ეკონომიკური ზრდის მოკლე ისტორია**

ირლანდიის რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საკმაოდ დამაჯერებელი ტემპებით ვითარდებოდა. მართალია, ქვეყანა ევროპის ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყნად ითვლებოდა, მაგრამ გასული საუკუნის 60-იან წლებამდე თანდათან მცირდებოდა ევროპის ქვეყნებთან ჩამორჩენა. 70-იანი წლებიდან მოყოლებული ქვეყანა ცვალებადი წარმატების ფაზაში შევიდა. 1973 წელს ევროკავშირის წევრობამ ირლანდიას ფართო ევროპულ ბაზარზე გასვლის საშუალება მისცა, თუმცა ფისკალური პოლიტიკის არათანმიმდევრულობამ, ინფლაციამ, არახელსაყრელმა საგარეო კონიუნქტურამ და ვალმა ქვეყნის განვითარება სერიოზულად შეაფერხა და 80-იანი წლების ბოლოს ირლანდია ევროკავშირში ეკონომიკური სტაბილურობის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მერყევი ქვეყანა იყო და მისი წლიური ზრდა მხოლოდ დიდი ბრიტანეთის ანალოგიურ მაჩვენებელს აჭარბებდა.

90-იანი წლებიდან იწყება ქვეყნის თავბრუდამხვევი ტემპებით განვითარება. მშპ-ს საშუალო წლიური ზრდა ცალკეულ წლებში 10% აღემატებოდა. აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების მიბაძვით ირლანდიას "კულტური ვეფხვიც" კი უწოდეს. საგრძნობლად გაიზარდა ცხოვრების სტანდარტები და 2005 წლისათვის ირლანდიამ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს რაოდენობით ევროკავშირში ლუქსემბურგის შემდეგ მეორე ადგილზე გადაინაცვლა. შეიცვალა ეკონომიკის

სტრუქტურა, ძალზე შემცირდა სფლის მეურნეობის როლი. გაიზარდა მრეწველობის, ტექნოლოგიებისა და სერვისის მნიშვნელობა. 2005 წლის ბოლოსათვის ირლანდიის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ნომინალური გამოსახულებით 200 მილიარდ დოლარს უდრიდა, რაც ერთ სულზე გადაანგარიშებით 48 ათას დოლარს შეადგენს. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ირლანდიის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების დომინირების გამო, დიდია მშპ-ში კორპორაციული მოგების წილი სხვა ქვეყნებთან შედარებით. კორპორაციული მოგების უდიდესი წილი დივიდენდების სახით საზღვარგარეთ გაედინება, ამიტომაც ეკონომისტების ნაწილი სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ ქვეყნის სიმდიდრის შესაფასებლად უფრო ლოგიკურია **მთლიანი ეროვნული პროდუქტის** პარამეტრის გამოყენება. ეს მაჩვენებელი, მშპ-სგან განსხვავებით არ მოიცავს ქვეყნის ტერიტორიაზე არარზიდენტების მიერ გამოძუშავებულ ფაქტორულ შემოსავალს და ითვალისწინებს სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე მომუშავე რეზიდენტების მიერ რეპატრირებულ შემოსავლებს. ამ შესწორების შეტანის შემდეგ ირლანდიის მშპ დაახლოებით 15%-ით იკლებს. ეს ძალზე არსებითია, თუმცა ქვეყნის ეკონომიკური წარმატება ამით სულაც არ კნინდება. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 15 წლის ფანტასტიკური ზრდის მიზეზების ნაწილი წინა პერიოდების განვითარების თავისებურებებშიცაა საძიებელი. მართალია, გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ქვეყანა ნელა ვითარდებოდა, მაგრამ შემდგომი დაჩქარების საფუძველი მაინც მაშინ შემზადდა. მიმომხილველები ხშირად უშვებენ შეცდომას, როცა ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას დროის მხოლოდ ერთ მონაკვეთში, კონტექსტიდან ამოგლეჯილად განიხილავენ. მაგალითად, იაპონიის წარმატებაზე მსჯელობისას ავიწყდებათ, რომ ეს ქვეყანა ინდუსტრიულ გიგანტად ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს, მეიძის რევოლუციის შემდეგ გადაიქცა და არა მხოლოდ მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სხვა ქვეყნებს არ შეუძლიათ სერიოზული შედეგები გაცილებით სწრაფად აჩვენონ, მაგალითად სამხრეთ კორეისა თუ ტაილანდის შემთხვევაში, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ქვეყნების მაგალითების ანალიზისას აუცილებელია ფაქტორების რაც შეიძლება ფართო სფექტრის საფუძველიანი, ისტორიულ ჭრილში განხილვა.

### **ირლანდიის ეკონომიკის განვითარების ცალკეული განმსაზღვრელი მომენტები**

ზოგადად, ეკონომიკური განვითარების პროცესის გააზრება უნდა დაიწყოს ამა თუ იმ ქვეყნის საწარმოო ფაქტორების შესწავლით. ამაში შედის მუშახელის რიცხოვნობა და მისი კვალიფიკაცია, პირველადი განათლებისა და ჯანდაცვის განვითარების დონე, ბუნებრივი რესურსები, სიღარიბის დონე, შემოსავლების განაწილების უთანაბრობის დონე, კაპიტალის რაოდენობა, ფინანსური და ფიზიკური ინფრასტრუქტურა და სხვა. დამატებითი ფაქტორებია გახსნილობა ვაჭრობისა და ინვესტიციებისადმი, სახელმწიფო რეგულირება, პირდაპირი

ინვესტიციები, გეოგრაფიული მდებარეობა, საგარეო კონიუნქტურა, მეზობელი ქვეყნების ეკონომიკის განვითარების დონე, სხვა ეგზოგენური ფაქტორები. ქვემოთ მოყვანილია ირლანდიისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტორების ჩამონათვალი მათი სიღრმისეული ანალიზის გარეშე:

1) **კვალიფიციური და იაფი მუშახელი.** 1990 წლამდე ირლანდიაში დიდი იყო უმუშევრობა და დასაქმება აგრარულ სექტორში. ეკონომიკური ზრდის კვალობაზე დაჩქარდა სოფლის მოსახლეობის მიგრაციისა და ქალთა დასაქმების ზრდა. თუ წარმოების პროცესს მარტივად გავიაზრებთ, ნათელი გახდება რომ ქვეყანა მით უფრო მეტ პროდუქციას უშვებს, რაც უფრო მეტ მუშახელსა და კაპიტალს აკავებს წარმოებაში. ბოლო დრომდე ირლანდია ევროკავშირის ალბათ ერთადერთი ქვეყანა იყო ჭარბი რაოდენობის იაფი და კვალიფიციური მუშახელით. ამიტომაც ქვეყნის დაჩქარებული ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობა სწორედ დასაქმების ზრდა გახდა. გარდა ამისა, აგრარულ სექტორში ინდუსტრიულთან შედარებით დაბალია შრომის ნაყოფიერება. ამგვარად სოფლად დასაქმებულთა ინდუსტრიაში ჩართვამ ეკონომიკურ ზრდა შემდგომი ბიძგი მისცა. აღსანიშნავია ირლანდიის ასაკობრივი სტრუქტურაც. ამ ქვეყანაში საშუალო ევროპულზე მნიშვნელოვნად დაბალი იყო შრომისუნარიანი მოსახლეობის საშუალო და მედიანური ასაკი.

2) 70-იან წლებში ირლანდიაში მიიღეს კანონი საყოველთაო **უფასო საშუალო განათლების შესახებ.** სახელმწიფოს მიერ ამ სექტორში გაწეული ეფექტური საქმიანობის შედეგები იგრძნობა უკლებლივ ყველა ქვეყნის წარმატებაში. ამ მხრივ ირლანდია გამონაკლისს ნამდვილად არ წარმოადგენს. გარდა ამისა, ქვეყანაში პირველად ჯანდაცვაზე მეტ-ნაკლებად ხელი მიუწვდებოდა მოსახლეობის ფართო ფენებს, რაც უაღრესად პოზიტიურ როლს თამაშობს შრომის ნაყოფიერების ზრდაში.

3) ირლანდიის **ბუნებრივ რესურსებში** ალბათ მაინც სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწები უნდა ვივარაუდოთ. 80-იან წლებამდე ამ ქვეყნის ექსპორტის მნიშვნელოვან ნაწილს სოფლის მეურნეობა, კერძოდ ცოცხალი ცხოველების ექსპორტი წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, ძნელია იმის თქმა, რომ ამ ფაქტორმა პირდაპირი არსებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ბოლოდროინდელ წარმატებაზე.

4) ემპირიული გამოკვლევები აჩვენებენ, რომ ღარიბ ქვეყნებს, სადაც შედარებით ნაკლებია **სოციალური უთანასწორობა**, განვითარებისთვის უკეთესი სასტარტო პირობები აქვთ ვიდრე უფრო მდიდარ, მაგრამ მაღალი სოციალური უთანასწორობის მქონე ქვეყნებს. საგულისხმოა, რომ ეკონომიკური ზრდის დაჩქარებამდე ირლანდიაში შემოსავლების განაწილება შედარებით უფრო თანაბარი იყო.

5) ირლანდია ევროკავშირში ითვლებოდა ქვეყნად, რომელიც მუდმივად განიცდიდა **კაპიტალური რესურსების** სიმწირეს. მიუხედავად ამისა, უნდა გვახსოვდეს ის ფაქტი რომ ამ ქვეყნისათვის ბოლო რამდენიმე საუკუნეა ტრადიციულად დამახასიათებელი იყო გარე ემიგრაცია. ცალკეული გამოთვლებით მხოლოდ აშშ-ში ირლანდიელად თავს 20-დან 40 მილიონამდე ადამიანი განიხილავს. ირლანდიის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზღვავენას მიმომხილველების დიდი ნაწილი სწორედ ამ ფაქტს უკავშირებს. ინვესტიციებს ისიც ადვილებს, რომ ირლანდია ინგლისურენოვანი ქვეყანაა, ხოლო საერთაშორისო კაპიტალის დიდი ნაწილი უკანასკნელ დრომდე სწორედ ანგლოსაქსურ ქვეყნებში იყო კონცენტრირებული.

6) **ფიზიკურ ინფრასტრუქტურაში** აღსანიშნავია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მასიური ინვესტიციები ძირითად ინფრასტრუქტურასა და კომუნიკაციებში. ექსპორტზე ორიენტირებული, კუნძულოვანი პატარა ქვეყნისათვის ამას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდეს.

7) **ფინანსური ინფრასტრუქტურა და კერძო საკუთრების პრიმატი** ანგლოსაქსური ქვეყნების ტრადიციული უპირატესობაა. სახელმწიფოს ჩაურევლობის პირობებში კორპორაციულ და საბანკო კაპიტალს ეხსნება გზა ადგილი მონახოს პოტენციურად ყველაზე მომგებიან პროექტებში. ამას ემატება ირლანდიისათვის იაფი კაპიტალის ხელმისაწვდომობაც, რაც მრავალი ქვეყნისათვის რთულად მისაღწევია.

8) აღსანიშნავია ისიც, რომ ირლანდიამ მოახერხა **ლიბერალური რეფორმების** წარმატებით განხორციელება. ქვეყანამ შეძლო საგარეო და საშინაო ვალის პრობლემის მოგვარება, გაამარტივა **შრომის ბაზრის რეგულირება**, მიაღწია **ფისკალურ სტაბილურობას** სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაციის მეშვეობით. ამავე დროს, ირლანდიური **ვალუტის კურსი ფიქსირებული იყო**, რაც მნიშვნელოვანია პატარა ღია ეკონომიკისათვის.

9) ირლანდიის ეკონომიკა **უაღრესად ღია საგარეო ვაჭრობისადმი**. ეს პოლიტიკა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სტაბილურად გრძელდებოდა და არ შეიძლებოდა შედეგი არ გამოეღო. სადღეისოდ ირლანდიური ექსპორტი თითქმის მშპ-ს ტოლია და მნიშვნელოვნად აჭარბებს მთლიან ეროვნულ პროდუქტს. ირლანდიაში ძალზე დიდი როლი ითამაშა აშშ-ს **პირდაპირმა ინვესტიციებმა** მაღალტექნოლოგიურ დარგებში. 90-იანი წლებისათვის ამ ქვეყანაზე ევროპაში ამერიკული კორპორაციების მიერ განხორციელებული ინვესტიციების 4% მოდიოდა. კორპორაციული გადასახადი ირლანდიაში ერთ-ერთი ყველაზე მცირეა მსოფლიოში (10%) და რამდენჯერმე ნაკლებია სხვა განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებზე.

10) ირლანდიის ეკონომიკურ ზრდას, ცალკეული ექსპერტების აზრით, ეს ქვეყანა **ევროკავშირში** შესვლასა და ბრიუსელიდან **სტრუქტურული დაფინანსების** მიღებას უნდა უმაღლოდეს. ევროკავშირის მრავალმილიარდიანმა ფონდებმა მართლაც ითამაშა გარკვეული

როლი, თუმცა არა ცალსახად გადამწყვეტი. ემპირიული გათვლებით, ირლანდიის ეკონომიკის ჯამური ზრდა იმაზე მხოლოდ 2%-ით ნაკლები იქნებოდა, რაც სტრუქტურული დაფინანსების მიღების გარეშე უნდა დაფიქსირებულიყო. ეს დაფინანსება ხშირად არაეფექტიანი იყო და ანელებდა კიდევ ეკონომიკურ ზრდას. ამავე დროს შესაძლებელია ისიც, რომ იაფი სახსრების მოზიდვამ ქვეყნის ხელისუფლებას მისცა საშუალება გამოეთავისუფლებინა რესურსები სხვა სფეროების დასაფინანსებლად და შეემცირებინა საბიუჯეტო ტვირთი.

11) ირლანდიის **გეოგრაფიული მდებარეობა** ძალზე ხელსაყრელია. ქვეყანა ახლოსაა მსოფლიოს ყველაზე მდიდარ და განვითარებულ ქვეყნებთან, რომელთა კეთილდღეობის დონე და მისი ზრდა ირლანდიაზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ვაჭრობისა და ინვესტიციების მეშვეობით. გრინვიჩის მერიდიანზე მდებარეობა ირლანდიელებს საშუალებას აძლევს მომსახურება გაუწიონ ამერიკულ კორპორაციებს მაშინ, როცა აშშ-ში სამუშაო დღე დამთავრებულია. ამ ფაქტით კარგად ისარგებლეს ამერიკულმა კორპორაციებმა და ირლანდიაში გადმოიტანეს თავიანთი იურიდიული და საბუღალტრო ფუნქციები. გარდა ამისა, ირლანდიის სახელმწიფო ენაა ინგლისური, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი და გარკვეული უპირატესობაა სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით.

12) ირლანდიის ბუმი და მისი წინა პერიოდი დაემთხვა **ევროპის ეკონომიკის განვითარების ეგრეთ წოდებულ ოქროს ხანასა** და შედარებით უკრიზისო საგარეო ეკონომიკურ კონიუნქტურას ამ და სხვა ქვეყნებში. მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიურმა ბუმმა ირლანდიას მისცა საშუალება უპრობლემოდ გაესაღებინა განვითარებულ ქვეყნებში მის მიერ დამზადებული მაღალტექნოლოგიური პროდუქცია.

13) ირლანდიის **ნეიტრალური პოლიტიკური სტატუსი** შესაძლოა ეკონომიკის განვითარების დამატებითი, თუმცა არა განმსაზღვრელი სტიმული იყოს. ნეიტრალიტეტის დაცვა თავისთავად საკმაოდ დიდ რესურსებს მოითხოვს. ეს ასეა შვედეთისა და შვეიცარიის შემთხვევაში, რომლებიც საკმაოდ სერიოზულ არმიებს ფლობენ და მნიშვნელოვანი სამხედრო ხარჯებითაც გამოირჩევიან. ირლანდიაში ეს ხარჯები შეუდარებლად უფრო ნაკლებია, რაც ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი რესურსების გამოთავისუფლების დამატებითი წყაროა.

### **ირლანდიის ეკონომიკური ზრდის ხარვეზები**

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ირლანდიის ეკონომიკური ზრდის თანამდევი უარყოფითი ფაქტორებიც. ასეთია სახელმწიფოს მიერ საბიუჯეტო ხარჯების მართვის ეფექტიანობაში არსებული ხარვეზები, კორუფციის დონის ზრდა, ინფლაცია, შემოსავლების განაწილების უთანაბრობის მატება, რეგიონული განვითარების პრობლემების გამწვავება. გარდა ამისა, ქვეყანაში

მოსახლეობის 6% კვლავაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. საგულისხმოა, რომ ეკონომიკური ზრდის უდიდესი ნაწილი უცხოურ კორპორაციებზე მოდის და ქვეყანას უჭირს ადგილობრივი კომპანიების ჩამოყალიბება, რომელიც შიდა და მსოფლიო ეკონომიკაში სერიოზულ როლს ითამაშებენ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ზრდის ტემპები ქვეყანაში შემცირდება, რადგანაც ამოიწურა იაფი საწარმოო რესურსები და ირლანდიის ეკონომიური ზრდა მხოლოდ ინოვაციებითა და მენეჯმენტის დახვეწით, ანუ კაპიტალისა და მუშახელის გამოყენების ეფექტიანობის ზრდითაა შესაძლებელი. ექსპერტების აზრით, ამაში ეს კუნძულოვანი ქვეყანა ეკონომიკური ბუმის პერიოდშიც კი მოიკოჭლებდა. ეს მოსაზრება საკმაოდ სადაოა, თუმცა ისიც ნათელია, რომ ბუმის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკა ძირითადად სწორედ ექსტენსიური და არა ინოვაციური ფაქტორების ხარჯზე იზრდებოდა. ყველაზე შემამფოთებელი, რაც ირლანდიის ეკონომიკაში ბოლო დროს ხდება, უძრავ ქონებაზე ფასების ძალზე სწრაფი ზრდაა. ამან შეიძლება პროდუქტიული რესურსების დაკარგვის საფრთხის წინაშე დააყენოს ქვეყანა, თუ მოულოდნელი შოკის შედეგად ფასები სწრაფად შემცირდება. გარდა ამისა, მუშახელის ფარდობითი გაძვირება ირლანდიას მომავალში ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებით ემუქრება. იზრდება ქვეყნის დამოკიდებულება ენერჯის საგარეო წყაროებზე. ნავთობსა და გაზზე ფასების მუდმივი ზრდის პირობებში ეს ნამდვილად არასახარბიელო პერსპექტივაა.

### **ირლანდიის ეკონომიკაში სადღეისოდ არსებული ვითარება**

იმ ექსპერტების აზრი, რომლებიც 21-ე საუკუნის დასაწყისში ირლანდიის ეკონომიკური განვითარების შენელებას წინასწარმეტყველებდნენ, მხოლოდ ნაწილობრივ დადასტურდა. 2001-02 წლების რეცესიას კვლავ გამოცოცხლება მოჰყვა. ბოლო წლების საშუალო ზრდის ტემპი, მართალია ბევრად ჩამორჩება გასული საუკუნის 90-იანი წლების ბუმის მაჩვენებლებს, მაგრამ ბევრად აღემატება ევროპის ეკონომიკური ზრდის ტემპებს და წლიური 4-5% ფარგლებში მერყეობს. თუ რა არის ამის გამომწვევი მიზეზი, ევროპული ეკონომიკების გამოცოცხლება, ახალი ინვესტიციები ტექნოლოგიების სფეროში, ხელსაყრელი კონიუნქტურა თუ სხვა, ჯერ ჯერობით მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. მიუხედავად ამისა, ნათელია რომ ირლანდიის ეკონომიკური განვითარების ტემპები მნიშვნელოვნად შემცირდა და შემცირდება შემდგომშიც, თუმცა საშუალოევროპულზე მაღალი დარჩება.

### **დასკვნა**

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ ირლანდიის ეკონომიკური ზრდა შესანიშნავი შედეგების მიუხედავად, ნამდვილად არ არის სასწაული, და საზოგადოდ, ტერმინს "ეკონომიკური სასწაული" რეალობასთან ცოტა რამ აქვს საერთო. ირლანდიის მიღწევათა მიზეზები სავსებით

კონკრეტული ფაქტორებისა და ეკონომიკური პოლიტიკის თანმიმდევრული გატარების შედეგია. ამასვე ემატება სხვა უნიკალური, მხოლოდ ირლანდიისათვის ნიშანდობლივი გარემოებანიც, რომელთა გათვალისწინება შეუძლებელია. ეკონომიკური ზრდა საკმაოდ რთული, მტკივნეული პროცესია, რომელიც სწორ გააზრებას მოითხოვს. ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველი ქვეყნის განვითარების პროცესში შესაძლოა საერთო პოზიტიური ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ეკონომიკური ზრდისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობისაა. ასეთია **განათლებისა და ჯანდაცვის სფეროების განვითარება, სახელმწიფოს მიერ ლიბერალური პოლიტიკის ოპტიმალურად, თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ გატარება, კანონის ძალის დაცვა და სხვა.** ამ ღონისძიებათა განხორციელება ყველა ქვეყანას მეტ-ნაკლებად ხელეწიფება, ეს კი მისი სტაბილური განვითარების სრულიად აუცილებელი წინაპირობაა.